



# შირაკი

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოქვეყნის 1937 წლიდან  
განვითარებული სამეცნიერო გაზითი

№28 (9.837)

28 ივლისი—4 აგვისტო 2018 დღე  
ფასი: 50 თათრი  
შოთა რეზონის გამოცემა

## სანქარს დაცოფლის ცენტრი ეპრევიან



ვ.3

ორმა ბანკება  
გადაჭამა  
მთელი ქვეყანა,  
პირიბაზილს  
ამას ყოველ თვე  
ვახსენებდი -  
ივანიშვილი

ვ.2

დაჩაგრული  
აღგილობრივი  
ცარმოება, თუ  
„ეარიშხეალი  
ჭიქაში“?!



ვ.5

მაჩხაბის ტყლის ცენტრალური  
რეზერვუარის ძირეული  
რეაბილიტაცია იწყება



ვ.5

21-ე საუკუნეში მთვარის ყველაზე  
ხანგრძლივი დაბნელება დაფიქსირდა



27-28 ივლისს, 21-ე საუკუნე-ში მთვარის ყველაზე ხანგრძლივი დაბნელება დაფიქსირდება. სპეციალისტების ვარაუდით, მთვარის დაბნელების საერთო ხანგრძლივობა 3 საათსა და 56 წუთს გაგრძელდა.

სრული ფაზის დროს მთვარე სრულად შევიდა დედამიწის ჩრდილში, რის დროსაც მთვარემ ნითელი ელფერი მიიღო.

მთვარის სრული დაბნელების ფაზა გრინვიჩის დროით 20:21 საათზე დააწყო. ასევე ალსანიშნავია, რომ მარსი მინიმალური დაშორებით მოუახლოვდა დედამიწას და იუპიტერზე უფრო კაშაშა გახდა.

სრულად მთვარის დაბნელების ნახვა ევროპის, აფრიკის, ახლო აღმოსავალეთის, ცენტრალური აზიასა და ავსტრალიის ყველა ნაწილში შეიძლებოდა, ჩრდილოეთ ამერიკას გარდა.

მთვარის დაბნელებაზე დასაკვირვებლად არ არის საჭირო ტელესკოპი, პროცესი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა.



ვ.3

აქტიური  
რეზერვის  
საპილოტე  
პროგრამის  
პრეზენტაცია  
გაიმართა

ვ.2 ვ.2 ვ.2 ვ.2

გაზითი „შირაკი“ იწყებს სტაურების პროგრამას კორესპონდენციებისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაციურ, ენერგიულ, მედიატექნიკურ მომენტების დასაქმების პრესცენტივით.

- უმაღლესი განათლება (სასურველი უურნალისტიკის განხრით);
- ქართული ენის სამეტყველო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;
- სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.

გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV თანდართული ფოტოსურათით მისამართზე: [gazetishiraki@gmail.com](mailto:gazetishiraki@gmail.com), ან მობილური გაზით „შირაკის“ რედაქციაში. მისამართი: ქ. დედოფლისნებარი, ფორსმანის ქ. №18







# მაჩესანის ცულის სანტრალური რეზერვაციის ძირეული რეაბილიტაცია იცყვება

დღეოფლისსწაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაბაში წყალმომარაგების პრობლემის აღმოზვრა ამ დრომდე ვერ მოხერხდა. ტენდერის რამდენჯერმე ჩაშლის, რამდენჯერმე კი არა კეთილსინდისიერი კომპანიების მიზეზით, მთავარ რეზერვუარს, რომელიც ადგილობრივების ერთადერთ იმედად რჩება, საშველი არ დაადგა. გასულ წლებში წყლის სისტემის ცენტრალური რეზერვუარის რეაბილიტაციაზე მიღლიონამდე ლარი დაიხარჯა, თუმცა სოფელში წყლის პრობლემა კვლავ მოუგვარებელია. 2014 წელს სოფლის მთავარი რეზერვუარის აღდგენისთვის და სოფლამდე წყლის მაგისტრალის გასაყვანად 700 ათასი ლარი გამოიყო, თუმცა სამუშაოების დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ რეზერვუარიდან წყალი უონავს და ის გამართულად ვერ იმუშავებდა. ამ მიზეზით, „ქართული ოცნების“ ერთერთი მთავარი საარჩევნო დაპირება კვლავაც შეუსრულებელი რჩება. არადა, ზემო მაჩხაბანი დედოფლისსწაროს მუნიციპალიტეტში კველაზე დიდი და ძალის მქონე დასახლებული სოფელია.

„ჩვენს სოფელში წყალი ყოველ მესა-  
მე დღეს მოდის. დილით, 11-ან 12 საათ-  
ზე გამოუშვებერ და ასე 2 საათამდე უნდა  
მოვასნოთ ჭურჭლის ავსება. თუ ვერ  
მოვასნარით, შეწყვეტავენ, რადგან წყლის  
დებეტი არ ჰყოვნის ამხელა სოფელს. ცენ-  
ტრალურ უბანზე ასეთი ვითარებაა, ჯა-  
მასპინძელის უბანიც ასეა, ქვემოთ ნაწილში  
რა ხდება ვერ გეტვით. მაგრამ საერთო  
ჯამში, გასულ წელს ბევრად უკეთესი მდ-  
გომარეობა გვქონდა. შედარებით კარგად  
მოგვენოდებოდა წყალი. ახლა, რატომდღაც,  
გაუარესებული მდგომარეობაა, მოქედა-  
ვად იმისა, რომ წელს გვალვა არ არის და  
ნალექიც ბევრი იყო. სავარაუდოდ, ვითარე-  
ბა იმიტომ გართულდა, რომ მოქალაქების  
ნანილმა წყალი სახლში, ინდივიდუალურად  
შეიყვანა. ვისაც ახლადგაყანილი აქვს და  
შესაძლებლობაც ჰქონდა, მათ თავისი სახს-  
რებით მრიცხველები დააყენეს, მაგრამ მო-

ლიანად სოფელი მრიცხველების გარეშეა  
მარაგი ამიტომ არ ჰყოფნის ხალხს, როცა  
მრიცხველი დგას, ასეთ დროს ყველა ეკო-  
ნომიურად მოიხმარს. ზაფხულში უამრავი  
უნდა სოფელში ჩამოსკვლა და დასვენება  
ვინც თბილისში ცხოვრობს, ან მუშაობს და  
მთელი წელი სოფელში დაბრუნებას ვერ  
ახერხებს. ზაფხულში მაინც უნდა ხალხს  
რომ მშობლიურ კერას დაუბრუნდეს. მა-  
გრამ წყლის პრობლემის გამო ბევრს აქეთ  
გამოხედვაც არ უნდა. როგორია, ასეთ პი-  
რობებში და ამ სიცხვეში უწყლოდ იყო, ამით  
ტომ, ბევრია ისეთი ოჯახი, რომელიც ან  
მიზეზით უკან აღარ ბრუნდება. ვითხოვთ  
რომ დროულად გააკეთონ ეს რეზერვუა-  
რი. ამდენი წელია აკეთებენ და არ დაად-  
გა საშველი. რასაც დაგვიპირდნენ, რომ ეს  
რეზერვუარი ამოქმედდებოდა, შეასრუ-  
ლონ და დააბოლოვონ ეს საქმე. ვიხრჩო-  
ბით უწყლობით, უკვე გაუსაძლისია ჩვენი-  
ყოფა;” — აღმფორებას ვერ ფარავენ მა-  
ჩხანელები.

დედოფლისნებაროს მერი ნიკოლოზ  
ჯანაძევილი ადასტურებს, რომ პროექტის  
დასრულება გაჭიანურდა, თუმცა განმარტავს,  
რომ რეზერვუარის რეაბილიტაცია  
რამდენიმე ეტაპად იყო დაგეგმილი. მერი  
გაზეთ „შირაკთან“ საუბრისას ამბობს  
რომ პროექტის მიხედვით თავდაპირვე  
ლად შესრულებულ სამუშაოებში რეზერ  
ვუარის მხოლოდ კოსმეტიკური შეკეთება  
განხორციელდა, რასაც ნახევარი მიღიონ  
ლარიდან ძალიან უმნიშვნელო თანხა მოხ  
მარდა. დაფინანსების დიდი ნანილი ქსელის  
გაყანაზე დაიხარჯა. მისი თქმით, მიზეზი  
ისიცაა, რომ გამოცხადებული ტენდერი  
რამდენჯერმე ჩაიმალა და გამარჯვებუ  
ლი კომპანია ვერ გამოვლინდა. ამჯერად  
ხელახლა გამოცხადდა ტენდერი, რომე  
ლიც რეზერვუარის სრულ რეაბილიტაციას  
ითვალისწინებს და მასზე 146 ათასი ლარია  
გათვალისწინებული. მაჩხანის რეზერვუარ  
რის სამუშაოების დასასრულებლად კომპა  
ნიის გამოვლენა მიმდინარე თვის ბოლოს  
მოხდება.

„ზემო მაჩხანს ნამდვილად გრაფიკით  
მიენოდება წყალი, თუმცა კონკრეტულად  
როგორ გრაფიკი მოქმედებს, ამის შესახებ  
ინფორმაციას „გაერთიანებული წყალმომა  
რაგების კომპანია“ მოგანვდით, რადგან ეს  
მათი კომპეტენციაა. თუმცა, სასიმორნო  
ინფორმაცია მაქვს ზემო მაჩხანის მაცხო  
ვრებლებისთვის. გამოიყო 146 000 ლარი  
შედგინილია შესაბამისი პროექტიც და გა  
მოცხადებულია ტენდერი, რომელიც  
დიდი რეზერვუარის ძირულ რეაბილიტა  
ციას ითვალისწინებს. გამარჯვებული კომპა  
ნიის გამოვლენის შემდეგ ცენტრალუ  
რი რეზერვუარის აღდგნის სამუშაოებ  
დაიწყება. ამ რეზერვუარის ამოქმედების  
შემდეგ ბერვად უკეთესი მდგრამარეო



ნინა ტენდერით, რომელიც თავდაპირ ველად 2014 წელს გამოცხადდა და 700 000 ლარი იყო გათვალისწინებული, სოფელში ხშირად საუბრობენ, რომ არაფერი გაჰკა თდა, არადა სწორედ ამ თანხით მოხდა კილომეტრი სიგრძის ცენტრალური სადან ნერ მაგისტრალის შენებლობა, რომელიც ახლაც წარმატებით მუშაობს და ამჟამად სწორედ ამ მიღით მიეწოდება მოსახლეობას წყალი. ასევე, გვდიქმზე, სოფელ ბოშიკის დასაწყისში ტუმბოს დაყენება და ავზის მოწყობა მოხდა. ამ 700 ათასი ლარით დან საბოლოოდ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას 560 000 ლარი ჩაერიცხა. მაგრავან

ამ მასშტაბური თანხიდან დიდ რეზერვუარს მხოლოდ 20 000 ლარი მოხარდა. პროექტში ასე იყო გათვალისწინებული, რომ მასზე მხოლოდ მცირე კოსმეტიკური სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. მიგვანებით აღმოჩნდა, რომ ეს სკუმარის არ იყო. ამიტომ, ახლა დაიგეგმა მთავარი რეზერვუარის ძირის სკუმარის რეაბილიტაცია, რომელიც ამ პრობლემას აღმოვევრის და ავზი მდგრადი იქნება, რომ აღარ მოხდეს გაუშონვა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რეზერვუარს ნამდვილად აქვს პრობლემა და სწორედ ამ ხარვეზების აღმოსავევრელად გამოცხადდა ხელახალ ტენდერი და სრული თანხა რეზერვუარზე დაიხარჯება. დღე-ღამეში 500 ტონა ნებალი მიეწოდება სოფელ ზემო მაჩხაანს და ეს ხორციელდება იმ 560 000 ლარის ფარგლებში, რომელიც პირველ ეტაპზე დაიხარჯა და მაგისტრალი ამენდა, “ – ამბობს დედოფლის სწოროს მერი, ნიკოლოზ ჯანაშვილი.

გაზეთი „შირაქი“ ტენდერის დასრულებ-  
ბის შემდეგ შედეგებით დაინტერესდა და მე-  
რიას კიდევ ერთხელ ეწვია. მერის პირველი  
მოადგილე მალხაზ მერაბიძე ვილი ამბობს,  
რომ ტენდერი ნარმატებით დასრულდა და  
პირველ ეტაპზე გამარჯვებულად კომპანია  
„ნიუ მშენი“ გამოვლინდა. თუკი სხენებული  
კომპანია შესაბამისი კვალიფიკაციისა და  
გამოცდილების დამადასტურებელ დოკუ-  
მენტაციას დროულად წარადგინს, შემდეგ  
ეტაპშაც გადალახავს და შემდეგ მერია  
მათთან დაგეგმილი სამუშაოების განსახორ-  
ციელებლად თანამშრომლობას დაიწყებს.  
ასე რომ, ზემო მაჩხანელების ბედი იმაზეა  
დამოკიდებული, რამდენად კეთილსინდი-  
სიერი აღმოჩნდება უკვე მერამდენედ შერ-  
ჩეული კომპანია „ნიუ მშენი“ და მოახერხე-  
ბს თუ არ საქმის ბოლომდე მიყვანას...

ილია გარეტყოვლიშვილი

დაჩაგრული ადგილობრივი წარმოება, თუ „ქარიშხალი ჭიქაში“?

გასულ კვირას გაზეთი „შირაქი“ ექს-  
კლუბიურად იტყობინებოდა, რომ შესა-  
ძლოა, „ჰაიდელბერგიც მომატება“ მუ-  
შობას შეჩეროს და დედოფლისნარის  
საბადოზე დასაქმებული ასიბით მოქალაქე  
შემოსავლის გარეშე დარჩეს. ჩვენ „ცემენ-  
ტის ასოციაციის“ განცხადებს ვეყრდნო-  
ბოდით, სადაც საუბარი იყო, რომ ირანული  
ცემენტი თვითლირებულებაზე ნაკლებ ფა-  
სად შემოდის, რის გამოც საქართველოში  
ცემენტის წარმოება აზრს კარგავს. რამდე-  
ნიმე დღის ნინ ამავე ოქტომბერში გამოეხმაურა  
თავად „ჰაიდელბერგც მიტის“ გენერალუ-  
რი დორქტორი და ალნიმა, რომ კომპანია  
გაკოტრინდს ზღვაზეა და რამდენიმე თვეში  
შეიძლება მუშაობა შეჩერონ. თბილისში გა-  
მართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე  
კონკრეტული არგუმენტებიც გაფლერდა.  
„ჰაიდელბერგც მიტის“ გენერალური დი-  
რექტორი მიხაელ პაპელი მპბობს, რომ  
ერთი ღუმელი უკვე დაუურეს, კიდევ ერთი  
ღუმელის გაჩერებას აგვისტოს პირველ რი-  
ცხვებში გეგმავნ, ასევე ფიქრობენ კასპში  
წარმოების გაჩერებას.

ვიდრე კომპანიის პოზიციას გაგაცნობთ, გეტყვით, რომ ბიზნესომბუდსმენდი ირაკლი

ლექვინაძე კომპანიის პათოსს არ იზიარებს „ირანიდან შემოსულ ცემენტს ქართულ ბაზარზე ფასი წარადგინოს ახალ“ – ამის შესახებ

გავლენას ვერ მოახდენს. არსებობს თუ არ დემინგი ბაზარზე, ამის ზეპირად შეფასება შემდეგი “

შეუძლებელია, — „აცხადებს ლეგენდაებს.  
მისი შეფასებით, დემპინგის აღქმა სა  
ქართველომ სხვანაირა, კერძოდ: თუ პორ  
დაუკცა ბაზარზე დაბალი ფასით შემოდის  
კომპანიები თვლილი, რომ ეს აუტომატურად  
დემპინგია. „თუმცა, დემპინგი არის საკმაო  
როგორულად შესაფასებელი. მგონა, რომ კომ  
პანის ნუხილი გასაგებია, მაგრა  
— არ არ არ არ არ არ არ არ არ არ

ბაზარზე არ არის ისეთი დრამატულ  
ვითარება, როგორიც შეიძლება იქ  
ნას დახატული“, – ალნიშნავს ლექციინაძეს


როგორც პრესკონფერენციაზე კომპა  
ნიამ ალნიშნა, 1300 ადამიანი, მათ შორი  
დედოფლის სცყაროს საბაზოზე დასაქმე  
ჩაული პარასონელი, სამსახურის დაკარ  
გვის წინაშე დგას. როგორც კომპანია  
პროგნოზირებს, ძართული ცემენტ  
ტის ინდუსტრიას საფრთხეს იჩრავდა  
კლინიკერის გამო ეუძრავს. კომპანიის  
მტკიცებით, საქართველოში ირანული პრო  
დუქცია ძალიან დაბალ, დეპტინგურ ფასად  
შემოდის. ცემენტი რეგიონში ყველაზე და  
ბალ ფასად საქართველოში, 60-65 დოლარ  
რად იყიდება, ირანული კლინიკერის ფასი კ.

40-45 დოლარია. მნარმოებლები ამბობენ, რომ ირანს კლინიკერის ჭარბი წარმოება აქვს, ამიტომ მისი ექსპორტი ნებისმიერ ფასად აწყობს. არსებული მდგომარეობრივან გამოიძრნარე, ჰაიდელბერგში ამბობენ, რომ წარმოება შეამცირეს, რესთავის ქარხანაში დაიხერა ერთი ღუმელი, 1 აგვისტოს კიდევ ერთი ღუმელის გაჩერებას აპირებენ და თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, წლის ბოლომდე კომპანია გაკოტრების საფრთხის წინ შევამოწმობს.

„ირავა ნულზე გასვლას და ზარალს, (კა-  
და) ურჩვნა, რომ შემოიტანონ საქართველო-  
ში ხეისტიერ ფასად თუ ეს ასეა, ქართულმა  
მხარემ ალპათ უნდა დააქციოს აქციის და და-  
მატებით გადასახადი ნავიდეს ბიუჯეტში”,  
აცხადებს მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღ-  
ვანელი ირაკლი რისტორიაშვილი.

საგადასაბადო ძელულდევნის გარი ცემებზე  
ტის შეტანა ვერ ხერხდება, საქართველოში  
კი რეგულაციები არ არსებობს, სხვა ქვეყანის პროდუქციას გზა ხსნილი აქვს, ადგილობრივი წარმოება კი იჩაგრება.

# უფალო, მოხედვე აღმართებასა ტაძრისა ამისა



თამაზი ჩემი დეიდაშვილია, ამდენად, მეუფე სვიმეონი, საერო ცხოვრებაში თემურ ცაკაშვილი, ჩემს თვალწინი გაიზარდა. ნიჭიერი ბავშვი იყო, სულ მუდამ ახლის ძებაში, დამოუკიდებელი, მეოცნებეტოსხი წლის იყო, როცა 1986 წელს, მშობლებს გაეპარა და ბოდბის მონასტერში წმინდა ნინოს საფლავის მოსალოცად მიმავალ კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, ბოდბის დაცული ტყის თავში, თავისი ხელით გაკეთებული ხის ჯვარით ხელში მიეახლა და მისაგან დალოცვა მიიღო. პატრიარქმა ააზმა აპეკურა და გულში ჩაიხურა. სწორედ ეს მომენტი გაიხსენა მეუფე სვიმეონმა ეპისკოპოსად კურთხევის დროს პატრიარქისადმი მიძღვნილ სამადლობელო სიტყვაში. მთელი სოფელი ექცედა და ძლიერს მიაგრეს პატარა ბიჭს, რომელსაც მაგრად ჩაებლუვა ორი ფიცრისა-გან გაკეთებული ჯვარი. ალბათ, ეს იყო მისი პირველი შეხება რელიგიასთან და, ალბათ, მაშინ ჩაეყარა საფუძველი მისი ცხოვრების გზას. საშუალო სკოლა თბილისში დაამთავრა, მაგრამ სოფლის სიცარული და მისეკნ ლტოლევა ყოველთვის იყო მასში. სტუდენ-



ტი იყო, სოფელ ზემო მაჩხანში ეკლესიების აღდგენის საქმეს რომ მოჰკიდა ხელი, თანატოლები აიყოლია, საკუთარი ჯიბის ფულით და ცოტაოდენი შეტმინრულობით საკუთარი ხელით ასრულებდა ყველა სამუშაოს. წმინდა გიორგის და მთავარანგელოზის ეკლესიებს ახალი სული ჩატერეს. არმათიონის ეზოში გაზრდილსა და ნარპენ-ნათამაშებ ბავშვებ გული უფლისკენ მიუწევდა.

**„მეც მაქვს დიდი პასუხისმგებლობა ჩემი ქვეყნის  
ნარსულის, აწყმოსა და მომავალის მიმართ“.**

ერავნული მუზეუმი

ისე ხანგრძლივი, რადგან 33 წლის  
ასაკში სინოდმა განდღოს ასეთი  
დღიდი საქმე, გამონაკლისების  
სცველრია. დღეს მცუუფე სვიმეონი  
ასაკით ყველაზე უმტკროსია სინო-  
დის წევრთა შორის, მაგრამ დღიდი  
ავტორიტეტით და პატივისცემით  
სარგებლობს. ეს იქნიდანაც ვლინ-  
დება, რომ მას სასატრიარქომ  
და თავად უშმინდესმა საუკუნის  
შექრებლობა ანდო „ახალი ბანას“  
საგანმანათლებლო ცენტრის მშე-  
ნებლობის სახით. „ახალი ბანას“  
აღდგომის სახელობის სამონას-  
ტრო-საგანმანათლებლო ცენტრი  
ქართული ისტორიული მემკვი-  
დრეობის უდიდესი საგანძურის,  
ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე  
არსებული ტაძრის ორეული იქ-  
ნება. ბანას უძველესი ტაძარი ამ-  
ჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა  
დარჩენილი და მხოლოდ მისი ნან-  
გრევებია შემორჩენილი. „ახალი  
ბანას“ საუკუნის პროექტად წილე-  
ბულ კომპლექსს საკმაოდ მასტეტა-  
ბური და მრავალფუნქციური  
დატეკირთვა ექნება, რომლის მი-  
ზნიც მომავალი თაობების-  
თვის „ბანას“ ისტორიული  
მნიშვნელობის ექნობა, დანართის

თითიცემულისი განვითარა და  
ეკლესიაში საგანმანათლე-  
ბლო და კულტურული კუ-  
რსის ჩამოყალიბებაა. „ახალი  
ბანას“ საგანმანათლებლო  
ცენტრში იქნება თანამე-  
დონვე ტექნილოგიებითა და  
სტანდარტებით აღჭურვილი  
საკონფერენციო დარბაზები  
და ბიბლიოთეკა. კომპლექ-  
სის ტერიტორიაზე აშენდება  
ლიანი შემაბსული თანხა მოხმარ-  
და ბანას საძირკვლის სამუშაოებს.  
ამ ტაძრის მშენებლობაში მთელი  
საქართველოა ჩართული. სასურ-  
ველია, თუ ჩვენც შევუერთდებით  
იმ დიდ არმიას, რომელიც იღვნის  
ხელი შემვეღლოს მშენებლობას,  
რომელიც გააგრძელებს ჩვენგან  
შორს დარჩენილი საუკუნოვანი  
ტაძრის სიცოცხლეს.

უპოვართა სახლი და კათარზისი, რომელიც ეპარქიის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოუსაფარ ბენეფიციარებს მფარველობას გაუწევს. საქმიანი შეხვედრების, სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის პარალელურად სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, მოილოცონ „ახალი ბანას“ ტაძარი, დაქსწრონ ღვთისმასახურებას, მონანილობა მიიღონ მონასტრის ყოველდღიურ საქმიანობაში, განიტვირთონ უმშევნიერეს ბუნებაში. კომპლექსის ბაზაზე იარსებებს ქართული რენტის საამქროები, სადაც ყველა ტურისტს შეეძლება საკუთარი ხელით შეეხოს ისტორიას და შექმნას ახალი ნაკეთობები. ცენტრი თავისი არსებობით ხელს შეუწოდს თეოლოგიურ და სხვა სამეცნიერო დარგებში საზოგადოების

უკვე რამდენიმე ხელია, უფალი გვეყალობს და უხვად გვაძლევს სარჩო-საბადეებელს – უხვი მოსავლით გაავსეს ჩვენმა ფერმერებმა ბელლები. ნუ დავინანებთ და უფლის ნაბოძარიდან ცოტაოდენი მასაც კუნილადოთ. ფერმერებთან ერთად მოგუნოდებ თითოეულ მოქალაქეს, მოსამსახურებს, შეძლებისდაგვარად, შეენიონ ამ საშვილიშვილო საქმეს, გადარიცხონ თანხა მითითებულ ანგარიშზე, ან განახორციელონ თუნდაც ერთი ზარი მობილურით ხებისმიერ იპერატორზე. გვერდში დავუდგეთ ჩვენს თანამემამულეს მეუფე სვიმეონს და შევუმსუმბუქოთ ის მძიმე ტვირთი, რომელიც მან თავის თავზე აიღო.

გვახსოვდეთ, ქველმოქმედება სიკეთეა!

საბანკო ანგარიშები საქველმოქმედო თანხის ჩარიცხვისათვის:  
თიბისი ბანკი: GE13TB7894136050100003 TBC PAY-ის აპარატე-  
ბით: მთავარი > სხვადასხვა > ქველმოქმედება > ფონდი ბანა  
საქართველოს ბანკი: GE34BG0000000901437300  
საქველმოქმედო ზარის განხორციელებისათვის:  
მაგთი, ჯონსელი, ბილაინი - ტელ: 0 901 700 307  
ზარის ღირებულება 1 (ერთი) ლარი  
<https://www.facebook.com/axalibana>  
<http://www.bana.ge>  
[banainfoge@gmail.com](mailto:banainfoge@gmail.com)  
 599-101-444

599-101-444



